

თანამშრომლობის მემორანდუმი

სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ

პრეამბულა

წინამდებარე მემორანდუმის მხარეები,

აღიარებენ რა სისხლის სამართლის სტატისტიკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისა და სწორად განხორციელების პროცესში,

მიზნად ისახავენ რა, შექმნან სისხლის სამართლის სტატისტიკის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სრულყოფილი სისტემა,

აღიარებენ რა, რომ სისხლის სამართლის სტატისტიკის სისტემის განვითარება განგრძობითი პროცესია,

სჯერათ რა, რომ სისხლის სამართლის სტატისტიკა უნდა იყოს ზუსტი, სარწმუნო და საჯარო,

ითვალისწინებენ რა სისხლის სამართლის სტატისტიკის სფეროში შეთანხმებული პრინციპებისა და ერთიანი მიდგომის აუცილებლობას,

თანხმდებიან წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმზე (შემდგომში „მემორანდუმი“).

1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია:

1.1 სისხლის სამართლის სტატისტიკის სფეროში უწყებათა შორის შეთანხმებული პრინციპებისა და სტანდარტების დადგენა;

1.2 სისხლის სამართლის ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავებისა და გამოქვეყნების წესების ჩამოყალიბება.

2. მემორანდუმის შინაარსი

მემორანდუმის განუყოფელი ნაწილია მისი დანართი, რომელიც შედგება სისხლის სამართლის სტატისტიკის ზოგადი კონცეფციის, ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის